თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5097066

ნომერი: AR1772391

თარიღი : 03.09.2020

გაცემის თარიღი : 09.09.2020

გაცნობის თარიღი : 09.09.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , (ნაკვეთი N40/218);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ გაფრინდაშვილი პ/ნ 54501063609
- ხიზაბავრის 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 21 ოქტომბრის №956764 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 3 სექტემბერს №AR1772391 განცხადებით მომართა ნიკოლოზ გაფრინდაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2013

წლის 21 ოქტომბრის №956764 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 21 ოქტომბრის №956764 გადაწყვეტილებით დადასტურდა, ქ. თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი, №34-ში, (ნაკვეთი №40/218), №01.14.03.040.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, I კლასის 2 (ორი) დროებითი სავაჭრო დანიშნულების შენობა–ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობა.
განმცხადებლის განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და ითხოვს სამსახურის 2013 წლის 21 ოქტომბრის №956764 გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადებას. 2020 წლის 17 ივლისის №AR1752839 განცხადებაზე (რომლითაც მოთხოვნილია II კლასის შენობა-ნაგებობის (მაღაზია) მშენებლობის მიზნით არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) წარმოდგენილია ფოტომასალა, რომლიდანაც დგინდება, რომ სამსახურის 2013 წლის 21 ოქტომბრის №956764 გადაწყვეტილების საფუძველზე სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ არის.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №902019004021, მომზადების თარიღი: 04/12/2019 წ.) ქ. თბილისში, გამზირი ალ. ყაზბეგი, №34-ში, (ნაკვეთი №40/218), მდებარე №01.14.03.040.218 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „დარიალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: №204876189). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №B20020089, მომზადების თარიღი: 26/02/2020 წ.) მიხედვით შპს „დარიალის“ დირექტორს წარმოადგენს გიორგი კიკვაძე (პ/ნ: 01030000530). ხოლო მის მიერ 2020 წლის 20 აგვისტოს გაცემული №200574619 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება (წარმოდგენილია 2020 წლის 21 აგვისტოს №AR1768378 განცხადებაზე).
“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს სამსახურის 2013 წლის 21 ოქტომბრის №956764 გადაწყვეტილება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიების და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად,
ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ გაფრინდაშვილის 2020 წლის 3 სექტემბრის №AR1772391 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 21 ოქტომბრის №956764 გადაწყვეტილება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.